პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი კვირა 23 მარტი № 69 (17712) ფასი 2 კაპ.

რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიები

● ერევანი, 20 მარტი. (საკადესი). დღეს აქ გაიხსნა სომხეთის სსრ ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

დეპუტატებმა აირჩიეს სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ბ. ე. სარქისოვი.

ჩამოაყალიბეს სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები.

● აშხაბადი, 21 მარტი. (საკადესი). გაიმართა თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია.

სესიამ მიიღო თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, შეიტანა ცვლილებები და დამატებები დებულებაში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ.

დეპუტატებმა აირჩიეს თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ - არჩეულია ... ეროვნული ... იქმნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ჩ. ს. ...

● რიგა, 20 მარტი. (საკადესი). დღეს რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნა ლატვიის სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

დეპუტატებმა აირჩიეს ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სამანდატო კომისია. ჩამოაყალიბეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები.

ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია პ. ი. სტრაუტმანისი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ი. ი. რუბენი.

მილიონთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე

ჩვენს ქვეყანაში დიდ მზრუნველობას იჩენენ მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის. საბჭოური ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია სნეულებათა თავიდან აცილება. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში ჰიგიენისტებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მოქმედებს მძლავრი სანიტარიული სამსახური. დღეს ჩვენს ქვეყანაში ხუთი ათასამდე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურია. ამ სადგურების ათიათასობით სპეციალისტი ყოველდღიურად ამოწმებს შრომის პირობებს საწარმოებსა და დაწესებულებებში, თვალყურს ადევნებს ჰაერის, წყალსაცავებისა და ნიადაგის სიწმინდეს, სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიურ ხარისხოვნებას.

სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის საქმიანობა განუხრელად უმჯობესდება. ჯანმრთელობის გუშაგები კვლევის თანამედროვე მეთოდებს იყენებენ და ცდილობენ აამაღლონ თავიანთი მუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა. მაგალითად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დასახლებული პუნქტების სანიტარიული მდგომარეობა. უფრო ენერგიულად ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გარემოს დაცვა სამრეწველო, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან. ბევრ ქალაქში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფეროს გაჯანსაღებას, ხოლო ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი, როგორც ცნობილია, მსოფლიოს დიდი ქალაქებიდან ერთ-ერთი ყველაზე სუფთაა.

ყოველივე ეს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების კოლექტივთა დაძაბული შრომის შედეგიც არის. მათ შორის მრავლად არიან მოწინავენი. მაგალითად, ამ სამსახურების მუშაობა მოსკოვის, იაროსლავლის, დონეცკისა და ზაპოროჟიეს ოლქებში, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში გამოირჩევა მაღალი მომთხოვნელობის, ჰიგიენური ნორმებისა და წესების დამრღვევებისადმი შეურიგებლობით. შემთხვევითი როდია, რომ აქაური კოლექტივებს ქვეყანაში საუკეთესოთა შორის ასახელებენ, მათს გამოცდილებას ფართოდ უწევენ პროპაგანდას და ავრცელებენ.

მაგრამ ყველგან როდი უზრუნველყოფენ სანიტარიულ წესრიგს ჯეროვან დონეზე. მაგალითად, სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას კვების მრეწველობის, საზოგადოებრივი კვების, სასურსათო მაღაზიების მთელ რიგ საწარმოთა ჰიგიენური კულტურა, ჯერ კიდევ ფხვდებით ფაქტებს, როცა ირღვევა საბავშვო დაწესებულებათა კვების ბლოკების მოვლა-შენახვის წესები, როცა ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა გადასამუშავებლად ამბარებს გაჭუჭყიანებულ პროდუქციას, ამას, რა თქმა უნდა, ვერ შევურიგდებით.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი ზიანი მოაქვს დასახლებული პუნქტებისათვის სამრეწველო გამონაფრქვევს, რომელიც ატმოსფეროში იფანტება. საწარმოებს საკმარისად აქვთ მათი შემცირების შესაძლებლობანი, თუ ამ საქმეს წესიერად გაუძღვებიან. სამწუხაროდ, ზოგან მაინც და მაინც არ იწუხებენ თავს ამ პრობლემის გადასაჭრელად. მხოლოდ 1980 წლის შემდეგ აქვთ დაგეგმილი ასეთი გამონაფრქვევის 30 პროცენტით შემცირება კვებისა და საკვაციო მრეწველობის საწარმოებში, ხოლო მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის, ნავთობის მრეწველობისა და ხორცრძის მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებში უფრო ნაკლებიც ეი დაგეგმეს: შესაბამისად 27, 21 და 15 პროცენტი. უფრო სწრაფი ტემპით უნდა ამოქმედდეს საწმენდი დანადგარები. საჭიროა აგრეთვე ამაღლდეს ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა დაბინძურების ხარისხი. შემოწმებით დადგინდა, რომ ყველა პროექტის დაახლოებით 30 პროცენტს ახასიათებს გადახვევები სანიტარიული ნორმებისა და მოთხოვნებისგან, რის გამოც ადგილობრივი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები არ იღებენ პროექტებს, რომლებსაც შესათანხმებლად წარუდგენენ ხოლმე.

ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველ უწყებას, საწარმოს თუ დაწესებულებას თავის უბანზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის. მაგრამ ნაკლები პასუხი როდი მოეთხოვებათ სანიტარიული ზედამხედველობის კოლექტივებს — მათ ამ საქმეში მთორგანიზებელი და მაკონტროლებელი როლი ენიჭებათ.

მაგალითად, უკვე კარგა ხანია საქართველოს სსრ ჯანმთელობის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორისაგან მოითხოვს გადამჭრელი ზომების განხორციელებას, რათა ქარხანაში გაუმჯობესდეს შრომის პირობები, თავიდან აიცილონ გარემოს გაჭუჭყიანება. სამეურნეო მუშაკები კი ამ მოწოდებებზე ყურსაც არ იბერტყავდნენ. სწორად მოიქცა რესპუბლიკის მთავარი სანმინისტროს სანიტარიული ექიმი, როცა ამ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა გამოეყენებინა ის დიდი უფლებები, რომლებიც კანონით აქვს მინიჭებული. მან დაახურინა საწარმოს ზოგიერთი ქვეგანაყოფი. ანდა ავიღოთ მეორე მაგალითი. თხუთმეტ წელზე მეტია მედიკოსები იღვწიან იმისათვის, რომ შეწყდეს ყდანოვის ულტრამაღინის ქარხნის ექსპლოატაცია, რომელიც სანიტარიულ ნორმებს არ შეესაბამება. მაგრამ ქარხანა, ვითომც აქ არაფერიო, კვლავინდებურად მოქმედებს.

ასეთი შემთხვევები მოწმობს, რომ ჰიგიენისტებს ყველგან როდი უწევენ ჯეროვან მხარდაჭერას. სამეურნეო ორგანოების ვალია ზუსტად და სწრაფად გამოეხმაურონ მათს რეკომენდაციებსა და მითითებებს. თავის მხრივ სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების უფლებაა მტკიცედ უნდა იბრძოლონ გამჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ხოლო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოვალენი არიან ყოველნაირად დაუჭირონ მხარი სანიტარიული ექიმების კეთილშობილურ მოღვაწეობას.

სახალხო მეურნეობის ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაცია, ელექტრომაგნიტური და სხვაგვარი გამოსხივების ფართო დანერგვა, წარმოებასა და ყოფაში წინათ უცნობი ნივთიერებებისა და სასალების გამოყენება — ყოველივე ეს მოითხოვს ადამიანთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობებისადმი კონტროლის ღონის ამაღლებას. უნდა დაიხვეწოს მთელი რიგი მოქმედი სანიტარიული ნორმები და წესები, შემუშავდეს ახალი მოთხოვნები. ანასუფმჯობესებელია აგრეთვე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მეტროლოგიური უზრუნველყოფა.

ახლა ზოგიერთი რესპუბლიკისა და ოლქის რაიონული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები აერთიანებენ თავიანთ ძალებს, სახსრებს და კომპლექსურ სპეციალიზაციას ლაბორატორიებს ქმნიან. ეს მათ შესაძლებლობას აძლევს შეიძინონ და უფრო კვალიფიციურად გამოიყენონ ძვირად ღირებული მოწყობილობა, აამაღლონ საკონტროლო გაზომვათა ხარისხი, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება. მაგრამ საერთოდ ხელსაწყოებითა და აპარატურით ჰიგიენისტ ექიმთა უზრუნველყოფა ჯერჯერობით ჩამორჩება მათს საჭიროებასა და მოთხოვნილებებს. განაცხადები ხშირად მხოლოდ ათი პროცენტით კმაყოფილდება, ზოგჯერ კი საერთოდ არ სრულდება.

სახელმწიფო სანიტარიული კონტროლის მუშაობის ეფექტიანობა ანმნშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კადრების შერჩევაზე, მათი კვალიფიკაციის დონეზე. და აქ საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითი კომუნისტებმა უნდა გვიჩვენონ. მათ ხელ უნდა წარმართონ აღმზრდელობითი მუშაობა, რომ ადამიანები ეზიზღებოდნენ პროფესიული ოსტატობის ამაღლების, პრინციპულად ეცვლებინონ თავიანთ თვალსაზრისს, გული შესტკიოდეთ საქმისათვის.

სანიტარიული სამსახური დიდმნიშვნელოვანი რგოლია საბჭოთა მედიკოსების ყოველდღიურ საქმიანობაში, რომლებიც ძალ-ღონისა და ენერგიას არ იშურებენ ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა ჯანმრთელობისა და კარგად ყოფნისათვის. იმ რატომ გვმართებს სანიტარიული სამსახურის ყოველმხრივი მხარდაჭერა, მისი ავტორიტეტის შემდგომი ამაღლებისათვის ზრუნვა.

ПРАВДА 22 მარტის მოწინავე

საწყისი დიდი საქმისა

„სოციალიზმი არა თუ არ აძლევს ეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოუყენებელი შესაძლებლობის ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად, შესაძლებლობას ნამდვილად გამოუყენებელ იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოაშკარავონ ნიჭი, რომელიც ხალხში ულევია“.

ვ. ი. ლენინი

თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხნის ღია პარტიულ კრებაზე

რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მიმდინარეობს ღია პარტიული კრებები დევიზით — „ვიცხოვროთ, ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ ლენინურად“. შრომითი კოლექტივები ერთხელ კიდევ აანალიზებენ იმას, თუ რას მიაღწიეს მეათე ხუთწლედის პირველ ოთხ წელიწადში და რა ამოცანებს უსახავს მათ ბოლო, დამაგვირგვინებელი, ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელი.

თავიანთ მომავალ მუშაობას ისინი განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, მის მიერ შემუშავებული დირექტივების შესაბამისად.

პარტია იმედოვნებს, რომ „სახელოვანი წლისთავისათვის სამზადისმა და დღესასწაულმა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის შემდგომ განვითარებას, ღონისძიებათა მობილიზაციას 1980 წლის გეგმების შესასრულებლად, მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებული სტარტის კარგი საფუძვლის შესაქმნელად“, როგორც ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის 110-ე წლისთავის შესახებ“.

წერილში გიამბობთ, თუ როგორ ჩატარდა ღია პარტიული კრება თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხანაში.

✦✦

კრების დასასრულს, დღის წესრიგი რომ ამოიწურა, მაშინ გამოიძახეს გიორგი ასლამაზოვი — კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი და მეგობრების, თანამოსაქმეების წინაშე გადასცეს საპატიო ლენინური სიგელი, ჯილდო — დამსახურებული, კანონზომიერი. ეს დაფასება იმგვარი შრომისათვის ერგოთ წილად, მან და მისი ბრიგადის წევრებმა რომ იციან, საქმისადმი ისეთი დამოკიდებულების და პასუხისმგებლობისათვის, მათ რომ ახასიათებს და სხვებისგან გამოარჩევს. ესეც ჭრონდა მხედველობაში უფლოდ საწარმოს ადგილობრივ განყოფილების უფროსს ა. ძაგანიას, იმავე კრებაზე რომ განაცხადა: მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის ბრძოლა, ჯამპანეური არ არის. ეს ჩვენი ცხოვრების ნორმაა, საქმიანობის წესი, ყოველდღიურობა, ჩვეულებრიობა. ეს რომ ასეა, ამის დასტური ისიც არის, რის გამოც დღეს გ. ასლამაზოვი და მისი ბრიგადა დაჯილდოვდნენ.

ამ რამდენიმე წლის წინათ, მეათე ხუთწლედის დამდეგს, როდესაც სოციალისტური ვალდებულება კი არა, საწარმოო გეგმების შესრულებაც დიდ პრობლემად ითვლებოდა ქარხანაში, ბევრს ბეჭობდნენ, თაობირობდნენ ჩამორჩენისაგან თავის დაღწევის უსათუოობაზე, ეძიებდნენ გზებსა და საშუალებებს. ან მაშინ გამოიჩინა გ. ასლამაზოვის ბრიგადამ საინტერესო ინიციატივა — „საწარმოო პერსონალის გაუზრდელად შევასრულოთ გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები!“. კვლავ და კვლავ შიდა რეზერვების რამდენი ლაპარაკია მათ შესახებ, მაგრამ რა ფასი აქვს მხოლოდ თქმას, თუ მის საქმე არ მოჰყვა. ჰოდა, მათაც ბევრი არ ულაპარაკიათ, უფრო მეტი საქმით თქვეს — 1979 წლის 7 ნოემბრისთვის სამშობლოს უპატაჟეს ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

აი ამის საზღაური იყო ის ჯილდო.

გ. ასლამაზოვის ბრიგადა გამონაკლისი არ არის. თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხანაში (დირექტორი — ი. მეიშვილი) სამართლიანად ამაყობენ ოქროპირი ციხელაშვილის, ვალიკო მეტრეველის, აირაპეტ მარკოსიანის ბრიგადებით, ბევრი მოწინავე მუშაკით, რომელთაც ამავე კრებაზე გადაეცათ საპატიო სიგელი: ყაზბეგ გოგიძე, არტემ არუთინოვი, რუბენ ელოშვილი, ომარ ბაბუნია, ივანე გაბრილოვი, ნიკოლოზ მალაკიძე, ანზორ მერაბოვი, შალვა ხუციშვილი, ლეკსო ხაჩიშვილი, ფლორენტინა მინდაძე და სხვები. მათ მხარი აუბეს მოწინავეთა ინიციატივას. ამჟამად ქარხანაში 29 მუშაკი უკვე მომდევნო ხუთწლედის ანგარიშში შრომობს.

მაგრამ რაც უნდა შთამბეჭდავი იყოს ერთეულთა მიღწევები, რაგინდ მაღალ შედეგებს აღწევდნენ ისინი, მთელი კოლექტივის მოწინავეთა რიგებში ჩასაყენებლად საკმარისი მაინც არ არის. აი მათი გამოცდილება კი, მუშაობის მათებური ხერხები და მეთოდები უთუოდ უნდა განზოგადდეს და ყველა ეზიაროს; რაც უფრო მეტი მიმდევარი გამოუჩნდება „ვარსკვლავს“, რაც უფრო მეტი შრომითი მეტოქეები იქნება კოლექტივში, მით უფრო განმტკიცებს იგი პოზიციებს. ეს როლი კი უპირველესად პარტიულ ორგანიზაციას, მის ხელმძღვანელობას აკისრია. ეს იციან ქარხნის პარტიული ბიუროს წევრებმა და მისმა მდივანმა მარლენ გოძიაშვილმა, რომელმაც კრებაზე თავის მოხსენებაში საწარმოს ცხოვრების არაერთი საჭირბოროტო საკითხი გამოიტანა ფართო სამსჯავროზე. სხვაგვარად არც შეიძლება. თვითონ კრების დევიზი — „ვიცხოვროთ, ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ ლენინურად“ ფაქტობრივად ჩვენი ცხოვრების ყველა უბანს, ყველა სფეროს მოიცავს და საქმისადმი მხოლოდ და მხოლოდ კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი, რომ შარშან 1975 წელთან შედარებით 3,7 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი გამოუშვა საწარმომ, ხოლო გეგმის გადამეტებით 75 ათასი მანეთის პროდუქცია გაამაღა, მეტაჟიანებს ქარხანაში იდეურ-პოლიტიკური, ორგანიზაციული მუშაობის გასაუმჯობესებელად გადადგმულ შესამჩნევ ნაბიჯებზე. ამასთან მუშაობის სტილის სასიკეთო გარდაქმნა მარტო საწარმოო მაჩვენებლებს როდი დაეტყო. არ შეიძლება არ აღინიშნოს კოლექტივის ... ეროვნული ... „ოქტომბრის 50-ე წლისთავის“ სახელობის საბჭოთა მეურნეობამ, რომლებიც წლების მანძილზე ეჯიბრებიან ზუგდიდის რაიონის კახათის მარქსის, რუხის „საქართველოს“, ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობებისა და ლენინის ორდენოსანი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებს.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით სხვებთან ერთად დაჯილდოვდნენ ზუგდიდის რაიონის კახათის მარქსის და ტალალაევკის რაიონის უკრაინის სახელობის კოლმეურნეობები. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სოციალისტური შეჯიბრება შრომითს მეტოქეებს ხელს უწყობს გეგმა-ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში.

სწორედ ამის შედეგია, რომ საკავშირო დროშით დაჯილდოებულთა შორის ორი მომე რესპუბლიკის ორი შრომითი მეტოქე და მეგობარი კოლმეურნეობაც არის.

ი. ქორთუა,
ზუგდიდის რაიონული და საქალაქო გაზეთის „მებრძოლის“ რედაქტორი.



... ეროვნული ... ინსტიტუტი

● ... 20 მარტი. (საკადესი). ... ეროვნული ... ინსტიტუტი ... ...

ს ა წ ყ ი ს ი
დ ი დ ი ს ა ქ მ ი ს ა

(დასასრული)

აქ, რასაკვირველია, მარტო ის როდია მიზეზი, რომ ბოლო ხანებში ძალიან ფერხდება, ლითონის, დასაკომპლექტებელი ნაკეთობებისა და სხვა მასალის მოწოდება, თუმცაღა, ეს, ფდაეოდ, დიდ დაფს ასკამს ჩვენს მუშაობას. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, ძნელ პირობებში გამოიღო ხელი, ვიკაციურად შეეჭიდო სიძნელეს, იპოვო გონივრული გამოსავალი შექმნილი არცთუ სასიამოვნო მდგომარეობიდან, მაგრამ ასეა ყოველთვის ჩვენთან? სამწუხაროდ, არა. ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: ჩვენს საწარმოს თითქმის ყველა რესპუბლიკასთან აქვს საქმიანი კონტაქტები. მაგრამ ძალიან ხშირად დროზე ვერ გვაწვდიან საჭირო მასალებს, და ჩვენ ვიდებით.

ამ დროს ბევრი საამქროს უფროსები და მუშები არხეინად არიან, უსაქმოდ სეირნობენ ცვლის დამთავრების ბოლოს როგორც თავისი საკუთარი თავის, ისე კოლეგების წინაშე თითქოს ვალმოხდილნი, პირნათელნი შინისაკენ მიეშურებიან. ვითომც არაფერი, გაცდა დღე, მასალა არ მოვიდა, ჩვენ რა შუაში ვართ! კარგი მეურნე, საქმის ნაღდი ჭირისუფალი და არა მოჩვენებითი ფაციფუცი კი სხვა გასაკეთებელს გამონახავს, წინ წაიგდებს ხაქმეს და ხელს არ მოიცდენს. ამასობაში საქონლიც გამოჩნდება. ამ პრობლემასთან თავისთავად არის დაკავშირებული სხვა საკითხები, მაგალითად ის, რომ თანამედროვე წარმოების პირობები აუცილებლად მოითხოვს, თითოეული მუშა რამდენიმე პროფესიას ფლობდეს. ამისათვის უსათუოდ უნდა ვიზრუნოთ ყველამ.

ითქვა ინჟინრებზეც. გულდასაწყვეტია, როცა უყურებ, რა უსულსურია ახალგაზრდა ინჟინერი, რომელსაც არ მოსდევს ცოდნის მარაგი. ფრთებშეკვეცილ ფრინველს ჰგავს იგი ამ დროს. უფროსი საწყენი კი ის არის, რომ არავითარი სურვილი არა აქვს შეივსოს, სრულყოს ცოდნა, დაიხვეწოს ოსტატობა.

ახლა მოცდენები!

ღია პარტიულ კრებაზე ამგვარი პატარა სტატისტიკაც მოიშველიეს: ჩვენთან თითქმის ნორმად არის ქცეული დილით დაგვიანება. 10 წუთია, მეტი ხომ არა, რა მოხდა მერე! — გაიგონებთ ხშირად. მაგრამ აბა დავიანგარიშოთ, რა გვიჯდება ეს ათი წუთი. ოცდაათმა და ორმოცმა კაცმა რომ ყოველდღე 10 წუთით დაიგვიანოს, დღეში ეს უკვე 2-3 გაცდენილი საათია. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთი წუთის მოცდენა კი ორასი ათასი მუშის დღიური შრომის დაკარგვას ფლირის. აი, რა არის ერთი და ათი წუთით დაგვიანება, ერთი შეხედვითი, არაფრად რომ გვიღიზიანებს.

შარშან დეკემბერში გამართული შრომის დისციპლინის დათვალიერების ერთთვიურის შემდეგ საკრძნობლად შემცირდა უმიზეზო გაცდენა-დაგვიანებების შემოხვევები. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. ამ მიმართულებით ბრძოლის შესუსტება ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების შეუსრულებლობის ტოლფასი იქნება.

როგორც პარტიული კრების სულისკვეთებაც მოწმობს, ელექტროშემდუღებლები ბრძოლის შესუსტებას არ აპირებენ. სწორედ რომ, პირიქით. თებერვალში ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის კომისიამ პრინციპულად იმსჯელა სატრანსპორტო საამქროში წარმოქმნილი მდგომარეობის შესახებ. დისციპლინის დარღვევა ამ საამქროს მოურჩენელ სენად ექცა, რის შედეგადაც სულ უფრო მცირდებოდა საწარმოო მაჩვენებლები. სამი იქმოდ მიგიდა, რომ საამქროს უფროსის ბ. ჯიჯეიშვილი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მოხსნეს ფრეზერი ოსტატები და სხვა მუშაკები.

არც გენერატორების საამქროშია სახარბიელო მდგომარეობა. საამქროს უფროსის მოადგილე გამოსაფხიზლებელში რომ მოხვდება, აბა, რა უნდა მოჰკითხო მას!

წესრიგს ხშირად ირღვევენ არასაუწყებო დაკვის მუშაკები. ზოგი იგვიანებს, ზოგი საერთოდ არ ეჩვადდება სამუშაოზე, რის შედეგადაც საწარმოს ტერიტორიაზე უცხო პირები თავისუფლად შედიან და დასეირნობენ.

— ანდა განა ყოველთვის მომჭირნეულ, ყირთიანად ვხარჯავთ მასალასს?! — თქვა თავის გამოსვლაში ქარხნის ტექნიკური კონტროლის უფროსმა გ. ქევხაევამ. — ესეც სხვისი ბრალია? განა უდიდესი რეზერვი არ არის ყირათიანობის რეჟიმის დაცვა!

განა სხვისი ბრალია ისიც, რომ საწარმოში ფაქტობრივად გამოუყენებელია ისეთი მძლავრი საანალიტიკური შეჯიბრება, რომელმაც ვერ იქნა და ვერ დაიფესვა თავი ფორმალიზმის ტყვეობას.

იმედის მომცემია მუშაობის ბრიგადულ სისტემაზე გადასვლის პირველი შედეგები. ახლა უკვე ბრიგადა მუშაობს ამ მეთოდით. ეკონომიკური ეფექტი აშკარაა. 15-20 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ამასთან ეს სისტემა ზრდის ბრიგადის თითოეული წევრის პასუხისმგებლობას საერთო გეგმისთვის.

— შრომის ნაყოფიერება უნდა გაზდეს მომავალში ჩვენი საწარმოო მაჩვენებლების ზრდის, გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების საფუძველი და გარანტია, და არა კორექტირება, როგორც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება დღეს, — თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის მეორე მდივანმა ე. ვასილიევმა, — სხვაგვარად ვერ დავძლევთ იმ მაღალ მიჯნებს, ვ. ი. ლენინის საიუბილეო, ხუთწლედის დამამთავრებელი წელი რომ გვისახავს, მიჯნებს, რომელთა დაძლევაში ყველაზე უკეთ გამოჩნდება შრომის, ბრძოლის ლენინური სტილი.

კონტროლის ხარისხი — აი, რა არის ციდევ მთავარი. ყოველი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, როგორ შეასრულა ნორმა თითოეულმა ბრიგადამ, ყოველმა მუშაკმა. თუ ვერ შეასრულა, რა არის ამის მიზეზი, რა უნდა გავაკეთოთ მის აღმოსაფხვრელად, განუხრელად უნდა ვეძიოთ წარმატების გზები და ისიც არ დაახანებს.

კრებაზე გამომსვლელებმა იკისრეს ვალდებულებანი: ელექტროშემდუღებელი ვასილ ბენდინაძე და მბორცავი კონსტანტინე ბანიაღისი ნახევარი წლის განმავლობაში 22 აპრილისათვის შეასრულებენ. ამავე თარიღს უპატაჟებს საწარმო განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მშენებლობებზე გასაგზავნი მასალის მიწოდების 6 თვის განმავლობაში, აგრეთვე 4 თვის საწარმოო დავალების შესრულებას.

19 აპრილს ქარხნის ათას ორასი მუშაკი გამოვა ლენინურ შაბათობაზე. ისინი 25 ათას მანეთს გადაარიცხავენ მშვიდობის ფონდში. კომკავშირელები გამაფრთხილებენ ქარხნის, აგრეთვე მის ახლომახლო ტერიტორიას. დაირგვება 500 ძირი ხე და ბუჩქი. ამავე დღისათვის არის ნავარაუდევი ქარხნის საექსპორტო საამქროს რეკონსტრუქციის დამთავრება, ფართო მოხმარების საქონლის საამქროს გაფართოების სამუშაოების, სამდებრო უბნის მეორე კონვეიერის რეკონსტრუქციის დასრულება და სხვ. ამ დღეს უპატაჟებენ ოთხი თვის საწარმოო გეგმის შესრულებას გ. ასლამაზოვის და ვ. მეტრეველის ბრიგადები.

ბოლო ხუთწლედის ბოლო, ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელს საწარმო გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 75 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციას.

ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ვალდებულებებია, რომელბიც-ცალკი აღებული, თავისთავად არაფრის გარანტია არ არის. ეს მხოლოდ საწყისია იმ დიდი სამისა, რომელსაც შევეჭიდეთ და რომელიც უსათუოდ გამარჯვებით უნდა დავაგვირგვინოთ.

„სამოცდაათიან წლებში დავიწყეთ მთელი ჩვენი ეკონომიკის შემობრუნება ინტენსიური განვითარებისაკენ, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, — ეფექტიანობის და ხარისხის ამაღლებისაკენ, იმისკენ, რომ მთელი ყურადღება დაგვითმო სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებისათვის. ოთხმოცდაან წლებში მოვალენი ვართ განვავრცოთ და დავამთავროთ ეს უმნიშვნელოვანესი საქმე. რომელიც პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ღერძია“.

და ჰა, ოთხმოციანი წლებიც დაიწყო. ნათელია მიზნები და საბრძოლო ამოცანები, ნათელია ბრძოლის საშუალებები. ხოლო ახალ-ახალი მეგვერვალების დალაშქვრის გზა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა აიჩიოს.

ბ. ხარებაშვილი.

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე

ცხინვალი. (სა... ორ. ბ. მ...) ... საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და პარტიის ცხინვალის რაიონულმა კომიტეტმა აქ მოაწყვეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ლენინური საკადრო პოლიტიკის განხორციელების — პარტიული ზრდისა“.

კონფერენციაზე მოისმინეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის გრ. ჟვანიას მოხსენება „საქართველოს კომპარტიის ბრძოლა საკადრო პოლიტიკაში ლენინური-სტილის დამკვიდრებისათვის“. რაიონის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს საკადრო პოლიტიკის დარგში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მიუძღვნეს თავიანთი მოხსენებები პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსმა ტ. დგებუაძემ, კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მისაბიშვილმა.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა აზრთა გაზიარება.

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელ ჟურნალზე

გვეტყობინებენ საქდესისა და ახალი ამბების საკავშირო კორესპონდენტები

24 მარტს მუშაობას იწყებს უნგრელ კომუნისტთა XII ყრილობა

გამოქვეყნდა საანგარიშო მოხსენება

ბუდაპეშტი. აქ გამოქვეყნდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XI და XII ყრილობებს შორის გაწეული მუშაობის შესახებ.

ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის რიგებს შეემატა 143 ათასი კაცი, ნათქვამია მოხსენებაში, და მისი რიცხვი აჭარბებ 812 ათასს შეადგენს. მათ შორის მუშები 62,4 პროცენტს შეადგენენ.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, ხაზგასმულია დოკუმენტში, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებაში. ვითარდება და მტკიცდება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ურთიერობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია განმტკიცებს თანამშრომლობას და სოლიდარობას განვითარებადი ქვეყნების მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კოლონიური ჩაგვრის ლიკვიდაციისათვის იბრძვიან.

უნგრეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, აღნიშნულია მოხსენებაში, აერთიანებს 855 ათას ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომელთაგან 230 ათასი ჩაბმულია სოციალისტური შრომის ბრიგადის წოდების მოსაპოვებლად გაჩაღებულ მოძრაობაში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ აქტიურად მუშაობს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება, რომელიც 1.559 კოლექტიურ წევრს აერთიანებს.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ეროვნული შემოსავალი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში 1976-1979 წლების მანძილზე საშუალოდ 4,1 პროცენტით გაიზარდა. მიმდინარე ხუთწლედის წლებში დამთავრდა ენერგეტიკული, ქიმიური და კვების მრეწველობის დიდი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა. სამრეწველო წარმოების საშუალო მატებამ მიმდინარე ხუთწლიურში შეადგინა 4,7 პროცენტი, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისამ — 3,3 პროცენტი.

უნგრეთის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მეტი ნაწილი მოდის სოციალისტურ ქვეყნებზე, უფრო ზუსტად, ბულგარეთზე, ჩეხოსლოვაკიაზე, ბულგარეთზე, ...

კომუნისტი
საკვირაო საკითხავი
III, IV გვ.
ლიტერატურა ◆ მუსიკა ◆ კინო ◆ მეცნიერება

გადარწეული აკვანი

ჯანსუღ ჩარკვიანი

ვენახი შვილო, ვენახად,
სამკალად კიდე — სამკალი,
მაგრამ ერთხელაც მენახა
გადარწეული აკვანი.

მაგრამ ერთხელაც მენახა
ახალი აკვნის გამთლელი,
ერთი გყავს? აბა, შენა ხარ,
აბა შენა ხარ ქართველი?!

ქალაქი შვილო, ქალაქად,
სოფლად დარჩება სოფელიც,
შენ ვერ იქნები ამაყად,
შენ, ერთი შვილის მშობელი.

შენ ვერ იქნები ამაყად,
ახალი აკვნის გათლამდი,
შენ, ვისაც მეტი არა გყავს,
შენ, ვინც მორჩი და გათავდი.

ამხელა ცოდვას რა ზიდავს,
თვისვე ტომს არბევს თათბა,
ღმერთო, შენ მოეც ყმაწვილ კაცს
სიბრძნე და გამბედაობა.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ მხატვრული სიტყვის გამორჩენილი ოსტატი გრიგოლ ჩიქოვანი 70 წლის გახდა. ბევრი გულთბილი დეპეშა მიიღო მწერალმა საიუბილეო დღეებში. გ. ჩიქოვანს ულოცავენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მკითხველები, მისი თაყვანისმცემლები როგორც მშობლიური რესპუბლიკიდან, ასევე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

აი, რას წერს სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი აბაშიძე:** „გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობები დიდი ინტერესით მიიღო მრავალმილიონიანმა საბჭოთა მკითხველმა, მისი წიგნები არა მარტო რუსულ, არამედ თითქმის ყველა ჩვენი მოძმე ერის ენაზეა თარგმნილი“.

ახლა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივნების **ვიტალი ოზეროვისა და ნიკოლოზ გრიბაჩოვის** დეპეშები ვნახოთ: „რომანი „თებერვალი“ კარგად ესისხლხორცება იმ მუშაობას, რომელსაც პარტია ეწევა. ეს რომანი ძლიერი იარაღია იდეოლოგიურ საქმეში, დაწერილია ეკონომიურად და ამავე დროს ჩინებულად“; „გრიგოლ ჩიქოვანის პროზის საფუძველია ხალხის ცხოვრება, იგი მეტად ნათელია სიუჟეტური და კომპოზიციური აგებულებით“.

ლენინური პრემიის ლაურეატი **ჩინგიზ აიტმატოვი** კი ამბობს: „გრიგოლ ჩიქოვანის პროზა გამსჭვალულია ქართული ეროვნული სულისკვეთებით, სამყაროს „ქართული“ ხედვით და ჩემთვის, მკითხველისათვის ეს ძვირფასია“.

აი დეპეშა, რომელიც ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარ რედაქტორს **სერგი ბარუზდინს** გამოუგზავნია სარედაქციო კოლეგიის სახელით: „მოხარულნი ვართ, რომ არაერთხელ გასაუბრებიხართ მკითხველებს ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან, და, ვიმედოვნებთ, ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“.

„გისურვებთ, ძვირფასო გრიგოლ სამსონის ძევ, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყოველი თქვენი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას“. — წერს თავის დეპეშაში სსრ კავშირის გამსახკომის თავმჯდომარე **ბორის სტუკალინი.**



ᲛᲝᲒᲔᲚᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ, ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

ᲩᲔᲛᲝ გრიგოლ! შენ ხომ მუდამ მესიდუმლე, შემწე, დამხმარე და ქომაგი იყავი და ხარ საკოლმეურნეო ცხოვრებისა!

ჩვენ, საერთოდ, მცირემიწიანი რესპუბლიკა ვართ. ვეძებთ მიწას... კოლმეურნეობა მიწაზე მკვიდრდება, მიწაზე ხარობს. უმიწო კოლმეურნეობა მინდორში მდგარი გემია, რაც კარგად იცოდა შენ, როგორც საკოლმეურნეო საქმის დიდმა მეგობარმა. ამიტომ იყო, რომ რომანი „მიწა“ კოლხეთის საუკუნოვანი ჭაობების დაშრობას და ხალხის სამსახურში ჩაყენებას მიუძღვენი.

შენი რომანის „მიწის“ გმირები სულ მალე გაახარებენ ქვეყანას 220 ათასი ჰექტარი კოლხური დაშრობილი მიწების ათვისებით, სადაც ამბობდება ძვირფასი სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურები. ამას ხომ ჩვენივე ბედნიერებისათვის მოითხოვს ჩვენგან ქვეყნის დიდი მეთაური ლ. ი. ბრეჟნევი.

ვფიქრობ და ვერ გადამწყვეტია: მოგილოცო 70 წლის იუბილე თუ ცოტა მოვითმინო და საუკეთესო მოგილოცო! ჩემი ძვირფასი კოლეგების — ჩვენი მიწა-წყლის აყვავებისათვის თავდადებული მებრძოლების სახელით, შენი შრომელი კოლმეურნეების სახელით მოგილოცავ ბრძოლაში, შრომაში, ცხოვრებისეულ სიყვარულში განვლილ წლებს და გისურვებ საუკუნისათვის ერთი დღეც არ შეგშურებოდეს და შეგერჩინოს. აი, მოლოცვა და პატივისცემა მაშინ ნახე! განვლილმა წლებმა არ დაგაფიქროს, არც შეგაშინოს, საკოლმეურნეო ცხოვრება შენგან კიდევ ბევრ ბრძნულ რჩევა-დარიგებას ელის, არასოდეს დაგავიწყდეს: შუაგული და ბოლო ანათებს დასაწყისს. მარგალიტებს ზღვის ფსკერზე, ძველ ნიჟარებში ეძებენ.

საყვარელო ჩემო გრიგოლ! შენ ხომ ჩვენი კოლმეურნეობის ძველი სპპატონ ჩვენი ბრძანდები. შორს გაიტანე შენი კოლმეურნეობის გამარჯვება და სახელი, შრომელებმა მეათე ხუთწლედი დიდი გადაჭრებით შეასრულეთ, 1980 წელს კი მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში ვმუშაობთ. გაიგებდი კოლმეურნეობას შეემატა კიდევ ერთი საპატონ წევრი — ჩვენი თეატრის მეფე ქალი ვერიკო ანჯაფარიძე.

ჩემო გრიგოლ, მოგელით ქალბატონ ვერიკოსა (თავადაც დამპირდა) და ირაკლი აბაშიძესთან ერთად, გვეწვიეთ შრომაში. ირაკლის შეახსენე — შე დალოცვილო, ყოველთვის კი გვიხაროდა შენი ჩამოსვლა და ახლაც გულში ჩავიკრავთ ჩვენს სპპატონ წევრს, გმირ ირაკლი აბაშიძეს-თქო, ჩამოდით, ნახეთ ჩვენი და თქვენი აყვავებული, გამარჯვებული კოლმეურნეობა. ჩემს საყვარელ მეზობელს გივი წითლიძესაც შეგახვედრებთ, იქნებ თქვენი ხათრით ნატანებელები და შრომელები „შერიგდნენ“.

„ჩვენ გვინდა კეთილი სიტყვით მოვიხსენოთ ის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში და პარალელურად სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებენ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე“.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის ასეთმა აზრიანმა და დროულმა სტატუამ, ზრუნვამ, ხელიდან გამოგლეჯა ზოგიერთ უგუნურს და განადგურებისაგან იხსნა გლეხაცის კარმიდამო.

ჩვენთან ყველა საკარმიდამო გადაიქცა მცირე პროდუქტთა წარმოების საამქროებად.

კიდევ მაქვს შემონახული ერთი სიურპრიზი. რა დამავიწყეს, წერა-კითხვა ირაკლიმ და თქვენ მასწავლეთ, ამ სიბერის ჟამს, თუმცა შორს ჩემგან, სად მცალია სიბერისათვის, ჩვენმა საყვარელმა ხელმძღვანელმა ხომ „დამავალა“ და საქვეყნოდ გამოაცხადა: მიხაკო კიდევ ორ ხუთწლედს იმუშავებსო! თუ კაცი ვარ, ამ „დავალებასაც“ პირნათლად შევასრულებ. ვინ იცის, იქნებ მეცამეტე ხუთწლედიც მივუმატო. მე არასოდეს გავიზიარებ ფოსტალიონის ცხენის ბედს. იმას ვამბობდი: ამ სიბერის ჟამს, ქართველ დრამატურგებზე გულმოსულმა, პიესა დავწერე. მას „თავმჯდომარე“ ჰქვია. იგი დადგა მახარაძის თეატრმა (კულტურის სამინისტროომ ჯილდოც კი მომაკუთვნა); ისიც ერთად ვნახოდ.

ჩემო გრიგოლ, დანარჩენს, შენს კოლმეურნეობაში რომ ჩამობრძანდები, მაშინ მოგახსენებ.

მუდამ შენი პატივისმცემელი ძმა და მეგობარი გლეხი კაცი

მიხაკო ორაგველიძე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

გორში შეიქმნა საოპერო სტუდია

კიდევ უფრო დამშვენდა ბოლო ხანებში გორი — ქართლის მეთაური. მაღლობა შენობებმა, პროსპექტ-მოედნებმა, სკვერებმა და პარკებმა ახალი სიცოცხლე შთაბერა მას. ჯერ კიდევ არ განელებულა ჩვენს მეხსიერებაში შარშანდელი გაზაფხულის დღესასწაული — გორის ქიბის შემოგარენში გამარჯვების მემორიალის საზეიმო გახსნა, და აი, კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე ქალაქის კულტურული ცხოვრების ისტორიაში, — სამუსიკო სასწავლებელში შეიქმნა საოპერო სტუდია. ამ დღეებში პირველი ნამუშევარზე.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი:** ბრწყინვალე ფურცელი გადაიშალა არა მარტო გორის, არამედ რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების მატიანეში. ეს ფაქტი კიდევ უფრო აამაღლებს პროფესიული მუსიკის სიყვარულს მუსიკალური ტრადიციებით მდიდარ ამ ქალაქში.

საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისათვის დაუცხრომლად ზრუნავენ მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, დღევანდელი დღეც ამ ზრუნვის შესანიშნავი დასტურია.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, დირიჟორი **ვ. ფალიაშვილი:** მახსოვს, ჩემს სიყმაწვილეში მამაჩემთან — ლევანთან არაერთგზის ჩამოსულან გორის ინტელიგენციის წარმომადგენლები — დაგვეხმარეთ, გორში სამუსიკო სასწავლებელი გვიხსნათო. დღეს კი საოპერო სტუდიის გახსნის მოწამენი გავხდით, და ეს დიდი ნახტომი ერთი თაობის თვალწინ მოხდა. გილოცავთ დიდ ზეიმს. მეგობრებო!

გორის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორმა და სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელმა ა. კაჭარავამ თქვა, რომ საოპერო სტუდიის შექმნა მათი დიდი ხნის ოცნება იყო. სასწავლებლის გორგასალი კამერული გუნდი, რომელიც ამ ათეოდე წლის წინათ შეიქმნა და საბჭოთა კავშირში თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში დიდი წარმატებით გამოდის, საოპერო სტუდიის დაარსების საიმედო წინამძღვარი გახდა.

ორიოდე წლის წინათ სამუსიკო სასწავლებელში ადგილობრივი ძალებით დავდგით გოგიელის ოპერა „წითელქუდა“, მასაც ფართო რეზონანსი ჰქონდა დედაქალაქის თეატრალურ წრეებში; საოპერო სტუდიის შექმნა ამ ფაქტმაც განსაზღვრა.

ჩვენს ქვეყანაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ საოპერო სტუდია სამუსიკო სასწავლებელთან არსებობს.

გზა დავიულოცოთ ახალ მუსიკალურ კერას!

გ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ორფეოსი — მ. ეგაძე (ზემოთ); ოპერა „ორფეოსის“ სცენა.

Თ. ᲜᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲨᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ქვეყნის მთავარი გამოფენა — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა თავისებური სადემონსტრაციო დარბაზი გახდა, სადაც წარმოდგენილი იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კინოსტუდიების საუკეთესო ნამუშევრები.

ერთ-ერთი პავილიონი დაეთმო კინოსტუდია „ქართულ ფილმს“, რომლის პროდუქცია მაღალი რეპუტაციით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში არამედ საზღვარგარეთაც.

ამ დღეებში მოსკოვიდან მივიღეთ ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა-გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომი. ეს ჯილდო ქვეყნის უძველეს სტუდიას მიენიჭა სამამულო კინოხელოვნების მდიდარი ტრადიციების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის, მრავალეროვნული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

გამოფენის ოქროს მედლით დაჯილდოვდა კინორეჟისორი ლ. ოღოლობერიძე ფილმ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ თემის აქტიური ძიებისა და მძაფრი მხატვრული გადაწყვეტისათვის, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელი ს. ჭიაურელი დაჯილდოვეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედლით ჩვენი თანამედროვის სახის ნათელი განსახიერებისა და მაღალი აქტიორული ოსტატობისათვის.

ვერცხლის მედლები მიიღეს აგრეთვე კინორეჟისორებმა თ. აბულაძემ და ე. შენგელაიამ ფილმების „ნატვრის ხისა“ და „სამანიშვილის დედინაცვლის“ დადგმისათვის. მხატვრული ფილმის „ციმბირელი პაპის“ დამდგმელმა რეჟისორმა მ. კალატოზიშვილმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ასეთივე ჯილდო მიენიჭა რეჟისორ გ. შენგელაიას ფილმისათვის „ფიროსმანი“.

ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვეს კინორეჟისორები ნ. მჭედლიძე — ფილმისათვის „პირველი მერცხალი“, ს. ღოლაძე — ფილმისათვის „დარიკო“, ნ. მანაგაძე — მხატვრული ფილმისათვის „წუთისოფელი“, ო. იოსელიანი — „იყო შაშვი მგალობელი“ და ნ. სარიშვილი — ფილმისათვის „კინო და წლები“.

კინორეჟისორები ვ. მიქელაძე და გ. ჟვანია დაჯილდოვეს ბრინჯაოს მედლებით სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმებისათვის „ბამი“ და „აბრეშუმი“. (საქინფორმი).



ᲣᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲓᲐ... ᲬᲚᲔᲑᲘ

ᲠᲐ ᲒᲘᲕᲠᲘ მეგონა 70 წელი და რა ცოტა ყოფილა. აგერ ახლა, 20 წლის წინათ გავიცანი გრიგოლ ჩიქოვანი და 70 წლის კი გამხდარა, ეს მეგრული მათრახივით მოქნილი, ლამაზად დაწნულ-გამოყვანილი და თხელი კაცი.

მე მასავით გულგანაბზარი ვარ და იშვიათად გამიგონია ადამიანი სხვისი წარმატებით ასე ხარობდეს და ცხოვრობდეს. თვე, კვირა არ გავა, არ დამირეკოს, არ მომაკითხოს და კარგი მახარობელივით არ მაცნობოს — დღეს ამა და ამ გაზეთში თუ ჟურნალში შენზე ესა და ეს წერიაო, და ვიდრე სამახარობლოდ მადლობას ან ალერსიან სიტყვას ეტყვი, ყურმილს კიდებს. ან როდის კითხულობს ამდენს, ან როდის წერს... ეშმაროტად მიკვირს.

თუმცა, რა გასაკვირია, განა შეიძლება სხვანაირად იცხოვროს შემოქმედმა კაცმა და დაწეროს: ან „დაბრუნება“, ან „ტაგუ“ ან „მაია“, ან „სიცოცხლის საზღვარი“, ან „ჩვენი დღეები“, ან „თებერვალი“ ან „ამორძალი“ ან „ერთი ღამის სიხარული“?..

გუშინაც დამირეკა, ფუტკრის სიმწრით მოგროვებული, ყვავილის მტვერი მასწავლა წამლად. თავადაც ფუტკარს ჰგავს, უზომოდ მშრომელს და მზრუნველს. შოთა ნიშნიანიძის ერთი ლექსსა არ იყოს. „ღმერთისთვის სანთელს ამზადებს, ადამიანებისათვის კი თაფლს“, — მარტო მის ოდიშურ მოთხრობებს რომ ვკითხულობ, ბედნიერებისაგან, სევდისაგან და სიხარულისაგან გული ყელში მეჯიქება ხოლმე.

ბატონო გრიგოლ, კარგი შემოქმედის ბედნიერება და „უბედურება“ ის გახლავთ, რომ შემოქმედს ჰასაკით მისი წიგნები ჯაბნიან ხოლმე, ბიბლიურ მათუსალასავით დიდხანს ცოცხლობენ. ალბათ თქვენც ეს „უბედურება“ მოგელით, ბატონო გრიგოლ... მაგრამ ღმერთს ვთხოვ, XXI საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ერთხელ კიდევ გაიგონოს თქვენგან თქვენმა მადლიერმა ქართველმა ხალხმა თქვენი ომახიანი, ტკბილი და სანატრელი ოდიშური „ვადილაი ვადილა“... მერე კი არა უშავს, მერე ყველანი სიკვდილს შვილები ვართ.

თქვენი ერთგული და მოსიყვარულე ძმა

ნოდარ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲒᲔᲚᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ, ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

ᲯᲠᲔᲛᲚᲘᲜᲘ, ლენინის სამშაო კაბინეტში, სავარძლებში და სკამებზე ისხდნენ ქართველი დემობილიზებული ჯარისკაცები და მეთაურები. პირველ მსოფლიო ომში, აჯანყებებში, რევოლუციასა და სამოქალაქო ბრძოლებში გამოვლილი, გახუნებული, დაკერებული ფარაჯები ეცვათ. ყინვით, მზით, ცეცხლითა და ავადმყოფობით შერეჯულ სახეებზე დაღლილობის, შიმშილის, სნების დაღი აჩნდათ, ყურადღებით უსმენდნენ ლენინს.

ვლადიმერ ილიჩი მაგიდის წინ მიმოდიოდა.

— და აი, ამხანაგო ქართველებო, თქვენს ქვეყანაშიაც დადგა რევოლუციური ქარიშხლის დაწყების ჟამი, — განაგრძობდა ლენინი საუბარს, — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მხარი დაუჭირა ავბიუროს წერილს და ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში დახმარება აღუთქვა, — შეიდგა, ცქერა თითი იღლიის ქვეშ ილეტში გაიყარა. — საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები მზად არიან დაიწყონ შეიარაღებული აჯანყებები მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ხალხი მიწას ელის, შემართულია შეუპოვარი ბრძოლისათვის. მენშევიკები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, მიწის დეკრეტი ფარატინა ქაღალდად მოიჩვენონ გლეხებს.

მეთაურებსა და ჯარისკაცებს შორის პირველ რიგში ახოვანი, სახეგაჭრილობენი კომისარი ვარდენ ბუკია იჯდა. ტყავის ჯორტაჯი ეცვა, ფიზხე — ჩექმები, ქუდი მუხლზე იდო. ვარდენი ოდიშელი ღარიბი გლეხის ბეგლარ ბუკიას შვილი იყო, გერმანიის ფრონტზე დაჭრილმა ხარკოვში სამხედრო სკოლა დაამთავრა და პრაპორშჩიკის წოდება მიიღო, მაგრამ მალე მეფის ოფიცერთა კასტას გადაუდგა. თებერვლის რევოლუციამ პეტროგრადში მოუსწრო, აპრილში ბოლშევიკურ პარტიაში შეიდგა, ცოტა ხანში სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატად აირჩიეს. იქ გაიგო, რომ მიწის დეკრეტის პირველი ნაწილი ლენინის მიერ იყო შედგენილი. მეორე კი გლეხთა სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე მიღებული „სანიმუშო განაწესის“ საფუძველზე შეემუშავებინათ. გლეხები მოითხოვდნენ მემამულეებს უსასყიდლოდ ჩამორთმეოდათ მიწა უძრავ-მოძრავი ქონებით.

— პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა გაგზავნოთ საქართველოში, ბოლშევიკური ცენტრის განკარგულებაში. თქვენ დაიმსახურეთ პარტიის ნდობა. ნაგემები გაქვთ თოფისწამლის სუნი, — პიჯაკის ღილები შეიკრა, — გადამწყვეტი დახმარება უნდა გაუწიოთ გლეხებს შეიარაღებულ აჯანყებაში. — უცებ ვარდენ ბუკიას დაუკერდა. — თუ არ ვცდები, თქვენ რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატი იყავით.

— გახლდით, ვლადიმერ ილიჩ, — წამოდგა ვარდენი.

— და იქ გადაცალეთ. ბუკია ბრძანდებით, არა?

— დიახ, ვლადიმერ ილიჩ.

— დაბრძანდით — ლენინს შავგვრემან სახეზე მოგონების ღიმილმა გადაურბინა — ზამთრის სასახლის მცველის მოადგილემ, პოლკოვნიკმა რატიევმა მიამბო, თურმე მისთვის ერმიტაჟის გადარჩენაში დიდი დახმარება გაგიწევიათ.

— იმდენი, რამდენიც სხვებმა, ვლადიმერ ილიჩ, ეს კია, რომ პოლკოვნიკი რატიშვილი სიკვდილს გადავარჩინე.

— როგორ?! — დაინტერესდა ლენინი.

— იუნკრებს უნდოდათ მოეკლათ, ბოლშევიკების ქაციაო.

ლენინის ოდნავ მოჭუტულ თვალებში სითბომ გაიელვა.

— ჰო, ქართულად რატიშვილია. ასე თქვით არა?

— დიახ, რატიშვილი, ვლადიმერ ილიჩ.

— რატიშვილი ხელოვნების კაცია. ალბათ იცით, ერმიტაჟის დირექტორად რომ დავნიშნეთ.

— ვლადიმერ ილიჩ, რატიშვილი მკერდით ეფარებოდა ქანდაკებებსა და სურათებს — ტყვია არ მოხვდეთო.

— უნდოდა ხალხისათვის შენახა — ლენინი ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს დაფიქრებული იდგა, მერე მაგიდისაკენ შეტრიალდა, მაგრამ მისი ყურადღება ჯარისკაცებისა და მეთაურების დაკერებულმა, გამოხუნებულმა ფარაჯებმა, გაცვეთილი ჩექმებისა და ფეხსაცმელების ლანჩიდან გამოყოფილმა, თოვლით დასველებულმა წინდებმა და ფეხსახვევებმა მიიქცია, მაშინვე აარიდა თვალი. — გიყურებთ, ძვირფასო ამხანაგებო, და თვალწინ მიდგანან სასწაულმოქმედი ქართველი მეთაურები: ვასილ ისიდოროვიჩ კვიციძე და „ჩიკი“, მისი გვარი ჩიქვანაია იყო, ევსეი იგნატოვიჩი. ალბათ, ზოგმა თქვენგანმა იცის მათი ბრწყინვალე გამარჯვებების ამბავი უკრაინისა და ყირიმის ფრონტებზე. „ჩიკმა“ სადგურ ალექსიკოვთან მოსკოვის გზა გადაუჭრა თეთრებს, დედაქალაქი კარს მომდგარ საფრთხეს გადაარჩინა.

— ვიცით, ვლადიმერ ილიჩ.

— მე „ჩიკთან“ ერთად ოდესის განთავისუფლებისათვის ვიბრძოდი.

— მე კიკვიძის დივიზიაში ვიყავი.

ლენინმა კუშტად შეჰყარა საფეთქლებისაკენ გაწეული დატეხილი წარბები.

— მათ ლეგენდარულ სახელს არასოდეს დავიწყებენ ჩვენი შვილები, მათთვის ისინი გმირობის, პარტიისა და ხალხისადმი ერთგულების მაგალითად დარჩებიან. — პირდაპირ შეხედა ჯარისკაცებსა და მეთაურებს. — რევოლუცია მარტო რუს ბოლშევიკებს, რუს ხალხს არ მოუხდენია. ქართველი ბოლშევიკები მხარში გვედგნენ ჩვენი პარტიის შექმნის დღიდან. ჩვენთან ერთად იბრძოდნენ. დიდია ქართველი ჯარისკაცებისა და მეთაურების ღვაწლიც. ახლა თქვენი სამშობლო გიხმობთ, ამხანაგებო, დაარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტი თავგანწირვით იბრძოლებთ, რომ საქართველოშიაც აფრიალდეს საბჭოების დროშა.

— ვეცდებით ამხანაგო ლენინ!

— ყოველ ღონეს ვიხმართ, ვლადიმერ ილიჩ!

— თავს არ დავზოგავთ!

ფამოიძახეს აქეთ-იქიდან ჯარისკაცებმა.

— დიახ, დიახ, — ლენინმა თავი გვერდზე გადასწია, ჯიუტი, ძლიერი თავი, წინწამოწეული ფართო და მაღალი შუბლით: დაფიქრდა, მერე მაგიდასთან მივიდა, სწრაფი მოძრაობით წერდა ქაღალდზე იმას, რამაც დააფიქრა.

ვარდენს ესმოდა ალმის ჩქარი წრიპინი და ხედავდა ლენინის ადრე გაჭაღარავებულ საფეთქელს.

— ჰო, გახსოვდეთ, ამხანაგებო. — მიბრუნდა ჯარისკაცებისა და მეთაურებისაკენ, — მარტო ჩვენ არ ვიღვწოთ ხალხისათვის, არიან მათთვის თავდადებული, უპარტიო ადამიანებიც, კარგი ადამიანები, პატიოსანი ადამიანები. არასოდეს დაივიწყოთ ისინი. — მოწონების ღიმილით შეხედა ვარდენ ბუკიას: — თქვენ ბრძანეთ, რატიშვილიო? დიახ, რატიშვილი და არა რატიევი. ასე მეფის რუსეთის დროს წერდნენ და ამბობდნენ. ტარხანოვი, კადეტანოვი, მჭედლოვ, ანდრონიკოვ, დროა ამას ბოლო მოეღოს.

ვარდენ ბუკია გაბრწყინდა. აფთაიერები შეჰყურებდა ლენინს.

— ქართველად თარნნიშვილი, კადეტანიშვილი, მჭედლიძე, ანდრონიკაშვილი ითქმის და იწერება, ვლადიმერ ილიჩ.

— დიდებულია, — უთხრა ლენინმა, — ქართული გვარი რუსიფიცირებას არ საჭიროებს.

მკვეთრად შეტრიალდა და ისევ მივიდა ფანჯარასთან.

გარეთ ყინავდა. ქვეყანა, მანეულზე, წვრილად ცრიდა თოვლს. წიოდა, ღრეოდა გაჟაპსებული ქარი, გაშშაგებით აცხრებოდა ქვაფენილს, თოვლის მტვრის კორიანტელს აყენებდა. ხან აიტაცებდა და დაახვავდა, დაკრეხდა, ხან გამართავდა, შურდულივით გაჟანგდა ოხოტნი რიადისაკენ, სახლების კედლებსა და მინებს ასკდებოდა, ადამიანებს ნამქერის ბუღრში ახვევდა, სულს უხუთავდა.

უსაშველოდ ყინავდა. ბინები არ თბებოდა. ადამიანები მიდიოდნენ შალით პირახვეულები, მხრებში მოხრილები, მობოზოლები, მშივრები.

— გვიჭირს, ძალიან გვიჭირს, ამხანაგებო, — გულისტკივილით თქვა ლენინმა, ისე რომ არ მიბრუნებულა ჯარისკაცებისა და მეთაურებისაკენ-

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ

ᲠᲔᲜᲘᲜᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲓᲐᲜ „ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲐᲝ“

ენახა — ლენინი ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს დაფიქრებული იდგა, მერე მაგიდისაკენ შეტრიალდა, მაგრამ მისი ყურადღება ჯარისკაცებისა და მეთაურების დაკერებულმა, გამოხუნებულმა ფარაჯებმა, გაცვეთილი ჩექმებისა და ფეხსაცმელების ლანჩიდან გამოყოფილმა, თოვლით დასველებულმა წინდებმა და ფეხსახვევებმა მიიქცია, მაშინვე აარიდა თვალი. — გიყურებთ, ძვირფასო ამხანაგებო, და თვალწინ მიდგანან სასწაულმოქმედი ქართველი მეთაურები: ვასილ ისიდოროვიჩ კვიციძე და „ჩიკი“, მისი გვარი ჩიქვანაია იყო, ევსეი იგნატოვიჩი. ალბათ, ზოგმა თქვენგანმა იცის მათი ბრწყინვალე გამარჯვებების ამბავი უკრაინისა და ყირიმის ფრონტებზე. „ჩიკმა“ სადგურ ალექსიკოვთან მოსკოვის გზა გადაუჭრა თეთრებს, დედაქალაქი კარს მომდგარ საფრთხეს გადაარჩინა.

— ვიცით, ვლადიმერ ილიჩ.

— მე „ჩიკთან“ ერთად ოდესის განთავისუფლებისათვის ვიბრძოდი.

— მე კიკვიძის დივიზიაში ვიყავი.

ლენინმა კუშტად შეჰყარა საფეთქლებისაკენ გაწეული დატეხილი წარბები.

— მათ ლეგენდარულ სახელს არასოდეს დავიწყებენ ჩვენი შვილები, მათთვის ისინი გმირობის, პარტიისა და ხალხისადმი ერთგულების მაგალითად დარჩებიან. — პირდაპირ შეხედა ჯარისკაცებსა და მეთაურებს. — რევოლუცია მარტო რუს ბოლშევიკებს, რუს ხალხს არ მოუხდენია. ქართველი ბოლშევიკები მხარში გვედგნენ ჩვენი პარტიის შექმნის დღიდან. ჩვენთან ერთად იბრძოდნენ. დიდია ქართველი ჯარისკაცებისა და მეთაურების ღვაწლიც. ახლა თქვენი სამშობლო გიხმობთ, ამხანაგებო, დაარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტი თავგანწირვით იბრძოლებთ, რომ საქართველოშიაც აფრიალდეს საბჭოების დროშა.

— ვეცდებით ამხანაგო ლენინ!

— ყოველ ღონეს ვიხმართ, ვლადიმერ ილიჩ!

— თავს არ დავზოგავთ!

ფამოიძახეს აქეთ-იქიდან ჯარისკაცებმა.

— დიახ, დიახ, — ლენინმა თავი გვერდზე გადასწია, ჯიუტი, ძლიერი თავი, წინწამოწეული ფართო და მაღალი შუბლით: დაფიქრდა, მერე მაგიდასთან მივიდა, სწრაფი მოძრაობით წერდა ქაღალდზე იმას, რამაც დააფიქრა.

ვარდენს ესმოდა ალმის ჩქარი წრიპინი და ხედავდა ლენინის ადრე გაჭაღარავებულ საფეთქელს.

— ჰო, გახსოვდეთ, ამხანაგებო. — მიბრუნდა ჯარისკაცებისა და მეთაურებისაკენ, — მარტო ჩვენ არ ვიღვწოთ ხალხისათვის, არიან მათთვის თავდადებული, უპარტიო ადამიანებიც, კარგი ადამიანები, პატიოსანი ადამიანები. არასოდეს დაივიწყოთ ისინი. — მოწონების ღიმილით შეხედა ვარდენ ბუკიას: — თქვენ ბრძანეთ, რატიშვილიო? დიახ, რატიშვილი და არა რატიევი. ასე მეფის რუსეთის დროს წერდნენ და ამბობდნენ. ტარხანოვი, კადეტანოვი, მჭედლოვ, ანდრონიკოვ, დროა ამას ბოლო მოეღოს.

ვარდენ ბუკია გაბრწყინდა. აფთაიერები შეჰყურებდა ლენინს.

— ქართველად თარნნიშვილი, კადეტანიშვილი, მჭედლიძე, ანდრონიკაშვილი ითქმის და იწერება, ვლადიმერ ილიჩ.

— დიდებულია, — უთხრა ლენინმა, — ქართული გვარი რუსიფიცირებას არ საჭიროებს.

მკვეთრად შეტრიალდა და ისევ მივიდა ფანჯარასთან.

გარეთ ყინავდა. ქვეყანა, მანეულზე, წვრილად ცრიდა თოვლს. წიოდა, ღრეოდა გაჟაპსებული ქარი, გაშშაგებით აცხრებოდა ქვაფენილს, თოვლის მტვრის კორიანტელს აყენებდა. ხან აიტაცებდა და დაახვავდა, დაკრეხდა, ხან გამართავდა, შურდულივით გაჟანგდა ოხოტნი რიადისაკენ, სახლების კედლებსა და მინებს ასკდებოდა, ადამიანებს ნამქერის ბუღრში ახვევდა, სულს უხუთავდა.

უსაშველოდ ყინავდა. ბინები არ თბებოდა. ადამიანები მიდიოდნენ შალით პირახვეულები, მხრებში მოხრილები, მობოზოლები, მშივრები.

— გვიჭირს, ძალიან გვიჭირს, ამხანაგებო, — გულისტკივილით თქვა ლენინმა, ისე რომ არ მიბრუნებულა ჯარისკაცებისა და მეთაურებისაკენ-

— თებერვალი დგას და ისე ყინავს და თოვს, გეგონება,

23 მარტი მეტეოროლოგიის საერთაშორისო დღეა

ბუნების მოვლენათა მკვლევარნი

ყველამ როდი იცის, რომ ჩვენი პლანეტის მრავალ კუთხეში დღისით თუ ღამით მუშაობს მეტეოროლოგიური სამსახურის მუშაკთა მთელი არმია, რომელიც აკვირდება ამინდს და ეთერში გადასცემს მრავალრიცხოვან მეტეოროლოგიურ ინფორმაციას. ამ მონაცემების დამუშავებით კი იქმნება მტკიცე საფუძველი ამინდისა და კლიმატის შემსწავლელი მეცნიერებისათვის.

მეტეოროლოგიის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად ცხოვრებამ მრავალი ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობის იდეა წარმოშვა, მას საფუძველი ჯერ კიდევ 100 წლის წინათ ჩაეყარა, ხოლო 1951 წლიდან იგი მსოფლიოს მეტეოროლოგიურ ორგანიზაციად გარდაიქმნა, რომელიც ყველთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ საგენტოს წარმოადგენს და ჟენევაში აქვს ბინა.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მოვალეობას შეადგენს მეტეოროლოგიურ სადგურთა ქსელის გფართოება და ბუნების მოვლენებზე დაკვირვება, მეტეოროლოგიური ინფორმაციის სწრაფი გაცვლის სისტემის შექმნა, დაკვირვებების სტანდარტიზაცია და პუბლიკაცია. მეტეოროლოგია გამოიყენება ავიაციაში, ზღვაოსნობაში, წყლის რესურსების ათვისებაში. სოფლის მეურნეობასა და სხვა სფეროში.

უკანასკნელ ხანს მეტეოროლოგია მრავალი აღმოჩენებით გამდიდრდა და აღარ „მაყოფილდება" ბუნების ამა თუ იმ მოვლენებზე მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვებით. მეტეოროლოგია ხსნის ბუნების მოვლენების მიზეზებს, ქმნის შესაბამის თეორიებს და იყენებს მათემატიკურ მეთოდებს, ატმოსფეროს რთული მოვლენები, მისი მორაობის კანონები, მათემატიკური ფორმულებით გამოისახა, მეტეოროლოგია ზუსტ მეცნიერებად იქცა.

ატმოსფეროს შესასწავლად ფართოდ გამოიყენება მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევანი. კერძოდ, საბჭოთა კავშირში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გაშვებულ იქნა 23 მეტეოროლოგიური თანამგზავრი, ერთდროულად ორბიტაზე იმყოფება დედამიწის ორი-სამი თანამგზავრი, 50-ზე მეტ მეტეოროლოგიურ სადგურზე დადგმულია აპარატურა, რომელიც საშუალებას იძლევა თანამგზავრიდან პირდაპირ მიიღოს ინფორმაცია.

ჩვენი ქვეყნის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სისტემა ითვლის 22 სამეცნიერო კვლევითს დაწესებულებას, 36 ამინდის ბიუროს, 125 ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიას, 900 ავიამეტეოროლოგიურ სადგურს, 3400 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურს, 8500 სგფუშგოს და სხვა ორგანიზაციებს. დაკვირვებისათვის დღეს იყენებენ ისეთ დანადგარებს, როგორიც არის მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი, ეროლოგიური რადიოლოკატური სადგურები, ავტომატური რადიომეტესადგურები და სხვ.

ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელებისათვის არსებობს კავშირგაბმულობის ავტომატიზირებული სისტემა. ხოლო ამ ინფორმაციის დასამუშავებლად გამოიყენება 110-ზე მეტი დიდი და მცირე ელექტრონგამომთვლელი მანქანა.

დღეს, თანამედროვე ეპოქაში. ძნელია დასახელო სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგი, რომელსაც მეტეოროლოგიური მონაცემები არ ესაჭიროებოდეს.

მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გადაწყვეტილებით 1961 წლიდან ყოველწლიურად, 23 მარტს მეტეოროლოგიის დღე აღინიშნება, ამ დღეს მსოფლიოს მეტეოროლოგები აჯამებენ და სახავენ ისეთ საერთაშორისო პრობლემებს, როგორიც არის მეტეოროლოგიის როლი სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტი და მეტეოროლოგია, მეტეოროლოგიის როლი ეკონომიკის განვითარებაში, საერთაშორისო მეტეოროლოგთა თანამშრომლობა, ამინდი და წყლის რესურსები.

წელს ქართველი მეტეოროლოგები განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნავენ 23 მარტს — საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახური თავის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სიგელით დაჯილდოდდა.

ქართველი მეტეოროლოგები მთავრობის ამ ჯილდოს დადებული შრომით უპასუხებენ, ეცდებიან დაამტკიცონ, რომ მათ უნარი შესწევთ ბუნების მოვლენათა ყოველი საიდუმლოს მოკვლევაში თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ.

მ. ცერცვაძე,

საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს მეტეოროლოგიის განყოფილების უფროსი.

ფხიზლად, ყვარყვარეა!



ახალი ქართული მხატვრული კინოკომედია „ყვარყვარე"

ბოლო წლებში ქართული კინოხელოვნება ერთობ აქტიურად ცდილობს ეროვნული ლიტერატურის ათვისებას. ზედიზედ გამოვიდა დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, გიორგი ლეონიძის, ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, რეზო ინანიშვილის, რეზო ჭეიშვილის, მერაბ ელიოზიშვილის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი მხატვრული ფილმები. და აი, ამჯერად პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი".

კინორეჟისორ დევი აბაშიძისა და სცენარის ავტორ რეზო ჭეიშვილისათვის პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი" უცნობი ხალი არ იყო. პიესამ გაიარა დროის გამოცდა და, ჩვენი აზრით, იმის დროც დადგა, კინოეკრანზეც გვენახა მისი გმირები.

ფილმის ავტორებს კიდევ ერთი სრულუფლებიანი წვერი, ყვარყვარეს როლის შემსრულებელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დოდო აბაშიძეც დაემატა. იგი იმთავითვე ჩაება ყვარყვარეს მხატვრულ-ალრონული ბალადა, ეპიზოდებად ეპიზოდებად ძალიან ტანდენციას, რომ ქართული მხატვრული კინოხელოვნება ცდილობს მოერიდოს აბსტრაქტულ აზროვნებას, დიდაქტიკურ ინტონაციებს.

„ყვარყვარეს" კინოვერსიაში მოცემულია ადამიანის ზნეობრივი ავადმყოფობის რენტგენოგრამა, მისი კრიზისი. აღწერილია არა ავადმყოფობა, რომელსაც გმირის სიკვდილი მოჰყვება, არამედ ისეთი ავადმყოფობა, რომელსაც წამლობა და განკურნება სჭირდება.

ამით მხატვრული კინოკომედია „ყვარყვარე" მწვავე პოლიტიკური პამფლეტის ღირებულებას აღწევს.

ყვარყვარე ეშმაკობით, საკუთარი ხმის, ფილტვებისა დ ფიზიკური სიძლიერის წყალობით მოქმედებს. პრაქტიკული „ყნოსვა" ჭარბობს მის სქესიერში. მისთვის უცხო ცნებებია საზოგადოება, მორალი, სულიერი ფასეულობა, რწმენა და კეთილმოსურნეობა.

რას ელის მაყურებელი ახალი მხატვრული ფილმიდან?

რა თქმა უნდა, აზრის გამოტანას და არა უბრალო გართობას, რა თქმა უნდა შთაბეჭდილებებს, გრძნობასა და ემოციებს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა ხალხი აღზევდა, სამართლიანობამ თავისი გაიტანა, ყვარყვარემ ფერი იცვალა, ღამის სიბნელის წყალობით მღვრიე ნაკადს მისცა თავი ახალი სამყოფელის ძიებაში. — გვირაბის კუნაპ ხახაში გაუჩინარდა ქალის ტანსაცმელში გადაცმული.

ფეტორთა აზრი შემტევი და აქტიურია. ეპიზოდიდან ეპიზოდამდე ძალიან ტანდენციოზულად ვითარდება ფილმის ემოციური ზემოქმედება. ეკრანზე ხშირად მათრახის ტლაშუნი გაისმის — ყვარყვარემ რეჟისორს ვარიოზგვა ასწავლა.

რეჟისორ დევი აბაშიძისა და კინოოპერატორ იგორ ამასისკის მხატვრულ ფილმ „ყვარყვარეს" კომპოზიტორ ჭანსუღ ჯახიძის მუსიკა სასიამოვნო ემოციურ მეგზურობას უწევს.

ახალ სურათში ორი აქტიორული კინოდებიუტია. ჩვიდმეტი წლის ნანა ესაკია ბოლშევიკ გულთამზეს ანსახიერებს, ხოლო ახალგაზრდა მსახიობი გიორგი ძნელაძე სტუდენტის -როლს ასრულებს.

მაყურებელი ფილმში უკვე ცნობილ და საყვარელ მსახიობებსაც შეხვდება: კ. კაკუსაძემ ტიტე ნატუტაური ითამაშა, გ. თოხაძემ — პოლკოვნიკი.

კინოკომედია „ყვარყვარეს" ფორმის უკიდურესი გამჭირვალობა ახასიათებს. ავტორები მხატვრული ფილმის ქსოვილში ურთიერთ-ამბსნელ, ერთავე დროს ურთიერთ პაროდირებულ სცენებს და ეპიზოდებს ურთავენ. ფილმში ჭარბობს ირონია, არა როგორც სტილის ნიშანი, ანდა ხერხი, არამედ როგორც ავტორთა საერთო მსოფლშეგრძნების ნაწილი.

ავტორებმა ფილმის წიაღში, სადაც მის შრეებში, საინტერესო და ნიშანდობლივი, დამაბეზმითი აზრი ჩადეს: მიეც თავი მსჯელობლად საზოგადოებას! ეს კონტრაპუნქტი, მართალია, არცთუ ადვილი შესამჩნევია, რამდენადაც მაყურებელი ძირითადად ფილმის სიუჟეტით არის გატაცებული, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც შეამჩნევს, რომ შეურიგებელნი უნდა ვიყოთ თვალთმაქცობასთან, დოყლაპიობასთან, რომ მეტი სიფხიზლეა საჭირო ყვარყვარეობასთან საბრძოლველად. ეს აზრი მხატვრული დამაჯერებლობით ჩამოაყალიბეს ფილმის ავტორებმა.

ა. გველესიანი.

✦✦✦

სურათებზე: კადრები კინოფილმიდან „ყვარყვარე".

ახალი ენათმეცნიერული თეორია

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ გამყრელიძე და საკავშირო აკადემიის სლავთმცოდნეობისა და ბალკანისტიკის ინსტიტუტის სექტორის გამგე ვ. ივანოვი ერთობლივად მუშაობენ ინდოევროპული ენების ახალ თეორიაზე, რომელიც პრინციპულად განსხვავდება კლასიკური ინდოევროპული ენათმეცნიერების თეორიისაგან. ახალმა თეორიამ დიდად დაიინტერესა უცხოეთის სამეცნიერო წრეები, სადაც იგი გავრცელდა „გლოტალური თეორიის" სახელწოდებით.

თეორია სრულიად ახლებურად წარმოაჩენს წინა აზიის უძველეს ინდოევროპულ და არაინდოევროპულ ენათა, მათ შორის ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხებს. ამის თაობაზე ამერიკელი მეცნიერი ა. ბომჰარდი სპეციალურ ჟურნალ „ორბისში" წერს: „გლოტალური თეორია გამოიყოფა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი მთელი ჩვენი საუკუნის მანძილზე ინდოევროპული ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციაში. მისი ერთადერთი შესაძლებელი მეტოქე ამ მხრივ დე სოსიურის ლარინგალური თეორია — გასული საუკუნის ბოლო წლებში შეიქმნა".

ერთობლივი გამოკვლევების შედეგები წარმოდგენილია ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. ტრა-ენისა და ეროტოკულტურის რეკონსტრუქცია და შედარებით ტიპოლოგიური ანალიზი".

შრომაში ახლებურად არის გადაწყვეტილი პრობლემა ინდოევროპული ტომების წინარე სამშობლოს ლოკალიზაციისა, მათი მიგრაციისა ისტორიულ ადგილსაცხოვრისში და მათი უძველესი ურთიერთობისა ქართველურ-კავკასიურ ტომებთან.

ამ თეორიით დიდი დაინტერესების დასტურია ის ფაქტიც, რომ ქართველ მეცნიერს ლექციებისა და მოხსენებების წასაკითხავად მრავალ ევროპულ ქვეყანაში იწვევენ.

ამას წინათ შვეიცარიელ მეცნიერთა მიწვევით თ. გამყრელიძე იყო შვეიცარიაში, სადაც გერმანულ და ფრანგულ ენებზე წაიკითხა ლექციები ჟენევისა და ციურიხის უნივერსიტეტებში.

ჟენევის უნივერსიტეტში, სადაც თავის დროზე მოღვაწეობდა გამოჩენილი შვეიცარიელი ენათმეცნიერი, თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი ფერდინანდ დე სოსიური, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა კლასიკური ინდოევროპული ენათმეცნიერების შექმნაში, ჩვენი თანამემამულეების ახალ ინდოევროპულ თეორიას „რევოლუციური" უწოდეს და იგი ამ მიმართულებით მომავალი კვლევაძიების საფუძვლად აღიარეს.

ასეთივე დიდი შეფასება მიეცა თეორიას ციურიხის უნივერსიტეტის მეცნიერებმაც. აღსანიშნავია, რომ ამ უძველეს უნივერსიტეტში ისწავლება ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია. კურსს ხელმძღვანელობს ცნობილი ქართველოლოგი იოლანდა მარშეი, იგი მეტად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს ამ მხრივ. ლეა ფლუისთან და რუთ ნოიკომთან ერთად მან გამოსცა ქართულ-გერმანული ლექსიკონი, რომლის შედგენა ჯერ კიდევ ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორმა კიტა ჩხენკელმა დაიწყო. ეს ლექსიკონი და უფრო ადრე გამოცემული ორტომიანი ქართული ენის სახელმძღვანელო ფართოდ არის ცნობილი დასავლეთის ქვეყნებში, როგორც ქართული ენის შესწავლის წყარო.

ქართველი მეცნიერის თ. გამყრელიძის ლექციების შემდეგ გადაწყდა, რომ ნაშრომი ითარგმნოს ევროპულ ენებზე. მანამდე კი მეცნიერს ლექციების წასაკითხავად ელიან მრავალ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, იტალიაში, ჰოლანდიასა და ინგლისში, სადაც გასულ წელს ბრიტანეთის აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია იგი.

რ. მუხიგულაშვილი.

წერილები რედაქციას

ერთი საღღეისო საკითხის გამო

საგოთა საქადრაკო სკოლის პრიორიტეტი მთელ დედამიწაზე რამდენიმე ათეული წელია დავს არ იწვევს. ჩვენი „შინაური" ტურნირები საერთაშორისო შეჯიბრებებზე უფრო მაღალი რანგის ასპარეზობად არის აღიარებული. ეს უკვე ფაქტია და მნიშვნელოვანწილად იმით არის განპირობებული, რომ ჩვენში ჭადრაკი მშრომელი მასების კუთვნილებაა.

შორს ნუ წავალთ, საქართველოს მოჭადრაკეებზე ვილაპარაკოთ: მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა შორის 16 წელს პირველობდა ნონა გაფრინდაშვილი, ამჟამინდელი მსოფლიოს ჩემპიონი, ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ნორჩი ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძეც ხომ ჩვენია? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი და ჩემპიონობის პრეტენდენტი, ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია, გოგონებს შორის ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ნანა იოსელიანი, ზონალურ ტურნირში გამარჯვებული და მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი ნინო გურეიელი, გოგონებს შორის ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონი თამილა მესხი, ქვეყნის ვაჟთა ნაკრების წევრი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე, ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ზურაბ აზმაიფარაშვილი, ქვეყნის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გენადი ზაიჩიკი, საერთაშორისო დიდოსტატები ბუხუტი გურგენიძე, ედუარდ გუფელდი... სულ ახლახან გამოქვეყნებული ყველაზე მაღალი პირადი კოეფიციენტების მქონე მოჭადრაკე ქალთა ნუსხაში თითქმის მეშვიდე ხომ საქართველოს წარმომადგენელია...

როცა მ. ტალი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ლატვიაში გამოსვლა დაიწყო საჭადრაკო ჟურნალმა „შახმა" (ლატვიურ და რუსულ ენებზე). ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენმა მეზობლებმა, ჭადრაკის სომეხმა მოყვარულებმა მიიღეს ყოველთვიური ბიულეტენი „შახმატაინ ჰაიასტან", რომელიც ორი თაბახის მოცულობით სომხურ ენაზე გამოდის. სულ ახლახან კი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ყოველკვირეული დამატება „64" ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდა.

ჩვენთან?

— 1971 წლიდან გამომცემლობა „განათლება" უშვებდა ალმანახ „ჭადრაკს". რა დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია ალმანახის გამოსვლამ! მისალმება და თბილი სიტყვა არ დაეშურეს აკადემიკოსებმა ა. შანიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ვ. ანჯაფარიძემ და ვ. გომიაშვილმა, საბჭოთა საჭადრაკო სკოლის პატრიარქმა მ. ბოტვინიკმა, საერთაშორისო დიდოსტატებმა ი. ავერბახმა, ა. გიპსლისმა...

ალმანახი თავდაპირველად ყოველკვარტალურად გამოდიოდა. სამი-ოთხი წელიც და ალმანახმა ორ კვარტალში ერთხელ დაიწყო გამოსვლა, ამ რამდენიმე წლის წინათ კი სულაც შეწყვიტა არსებობა.

ნუთუ არ მოხერხდება, რომ ჭადრაკის ასიათასობით ქართველ თაყვანისმცემლებს ერთი პატარა (თუნდაც ორფორმიანი) ჟურნალი, ალმანახი ან ბიულეტენი მაინც ჰქონდეთ?

ბ. მახარაძე,

ინჟინერი.

„კომუნისტის" წიგნის თარო

მედიცინის კარგი შენაძენი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ გამოშვებული პროფესორ მიხეილ ყუფარაძის ატლასის პირველი ტომი „ძვლებისა და სახსრების ზოგიერთი პათოლოგიის ოპერაციის ტექნიკა" მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომია. ბოლო ხანებში ძვალ-სახსართა პათოლოგიის (ანთებები, დისტროფიები, სიმსივნეები და სხვ.) მკურნალობაში ქირურგიული მეთოდების ფართო გამოყენებამ მკვეთრად გაზარდა მათი მკურნალობის ეფექტიანობა: შესაბამისად გამრავალფეროვნდა და დაიხვეწა ძვალ-სახსრის პათოლოგიის ოპერაციული ტექნიკა, რამაც დღის წესრიგში დაიყენა სათანადო მაღალკვალიფიციური სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა.

ცნობილია, რომ ჯეროვანი თვალსაჩინოების ხერხების გამოუყენებლად ოპერაციული ტექნიკის მხოლოდ სიტყვიერი აღწერილობა არ არის ისეთი ეფექტიანი, როგორც ოპერაციის მსვლელობის ძირითადი ეტაპების, საკვანძო მომენტების ზუსტი და თვალნათლივ დასურათებული წარმოდგენა. ეს კარგად იციან ქირურგიულ სახელმძღვანელოთა სხვა ავტორებმაც, მაგრამ ასეთი ხასიათის წიგნი ძვალ-სახსრის პათოლოგიის განხრით დღემდე მაინც არ შექმნილა არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ. ამის მიზეზია ის, რომ ასეთი სამუშაო უაღრესად შრომატევადი და რთულია და მოითხოვს მაღალკვალიფიციური ქირურგისა და მხატვრის ერთობლივ ხანგრძლივ მუშაობას, რაც პრაქტიკულად ძნელი მისაღწევია.

პროფესორი მ. ყუფარაძე ქირურგიულ კვალიფიკაციასთან, გამოცდილებასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად დაჯილდოებულია მხატვრის ნიჭითაც. ამ თვისებათა შერწყმის ნაყოფია საუკეთესო წიგნი — ატლასი, რომელშიც ავტორმა ზუსტად და შესანიშნავად შეასრულა 972 ფერადი ნახატი და ქართულ-რუსულ ენებზე დეტალურად, მაგრამ ლაკონიურად შედგენილ სათანადო აღწერილობათა მეშვეობით რელიეფურად და გასაგებად წარმოადგინა თვით ურთულესი ოპერაციების მსვლელობა კანის გახაკეთებიდან მის აღდგენამდე.

აღსანიშნავია წიგნის მაღალი პოლიგრაფიული დონე. დაწერმუნებული ვართ, რომ შემდგომი ტომებიც თავისი ფორმითა და შინაარსით ასევე გაახარებს მკითხველს.

პროფესორ მ. ყუფარაძის ეს ორიგინალური მეცნიერული ნაშრომი ფასდაუდებელ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქირურგებს და იგი ჩვენი სამამულო სამედიცინო ლიტერატურის ძვირფას შენაძენად უნდა ჩაითვალოს.

ო. ღუდუშაური,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

იტალია ტაშს უკრავს

იტალიაში დიდი წარმატებით ჩაიარა საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტის ზურაბ სოტკილავას გასტროლებმა.

21 მარტს სატელევიზიო პროგრამა „ვრემიაში" მილიონობით ტელემაყურებელმა მოისმინა ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტის ვ. პროსტაკოვის რეპორტაჟი იტალიიდან, რომელიც სწორედ ქართველი მომღერლის გასტროლებზე მოგვითხრობდა.

კერძოდ ვ. პროსტაკოვმა თქვა: „ვერდის ოპერა „ოტელოში" მთავარ როლში ზურაბ სოტკილავა ვიხილეთ. დამეთანხმებით, იტალიაში გამოსვლა მსოფლიოს ყველა გამოჩენილი მომღერლის ოცნებაა და მითუმეტეს ტენორისათვის.

უკვე პირველ ანტრაქტში მომღერალს მჭახარე ოვაცია გაუმართეს. მაგრამ „საბოლოო განაჩენი" სპექტაკლის დამთავრების შემდეგ გამოიტანა მაყურებელთა დარბაზმა.

საბჭოთა მომღერალმა ბელკანტოს სამშობლოში ბეშმარიტი თაყვანისმცემლები შეიძინა. მაყურებლებს სპეციალისტებიც შეუერთდნენ — ზურაბ სოტკილავა იტალიის ერთ-ერთი უძველესი აკადემიის — ბოლონიის მუსიკალური აკადემიის წევრად აირჩიეს. მას გადაეცა საპატიო დიპლომი".

შემდეგ კორესპონდენტმა ესაუბრა ბოლონიის მუსიკალური აკადემიის პრეზიდენტი დ. სემოლა. მან თქვა: „წელს ჩვენ დავჯილდოეთ ტენორი ზურაბ სოტკილავა ოტელოს პარტიის ბრწყინვალე შესრულებისათვის. მან გამოიჩინა არა მარტო ვოკალური, არამედ აქტიორული შესაძლებლობანიც. ალბათ, ასეთი წარმოდგენა ოტელო თვითონ კომპოზიტორს. ჩვენ მოწმენი გავხდით ნაოპერო და დრამატული ხელოვნების უზადო შერწყმისა".

ყაგაზი

ხელგურთელთა საქავშირო

მოსკოვი, 22 მარტი. (ტელეფონით, ჩვენი სპეციალური კორ.). აქ „სასა-ს საფეხბურთოთა-მძლეოსნური კომპლექსის ერთ-ერთ დარბაზში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირის — ექვსი საუკეთესო კუნდის შეჯიბრების პირველი წრე. ამ ტურნირის პირველი შეხვედრა თბილისის „ბურევესტნიკსა" ჰქონდა „ალანიასა „გრანტასის გუნდთან, რომელიც თბილისელებს საპრიზო ადგილს ეკილუნა. ამ ორი კოლექტივის უშეღავათო ბრძოლამ მოსკოველ მაყურებელთა დიდი აღტაცება გამოიწვია. კუნდებმა ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს. და საბოლოოდ, მოკიდავეები რომ იტყვიან, გაშველდნენ — 26:26. თბილისის „ბურევესტნიკმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კომახიძე, ანპილოგოვი (7 ბურთი გაიტანა), ვ. ბერიაშვილი, დვალიშვილი, გ. ნარიმანიძე და ტაბიძე (4-4) გ. ბერიაშვილი (3), ნოგროზაშვილი, ჩიბარაშვილი და დოლიძე.

მოსკოვური დღიურები

მხატვრის ხსოვნას მიეძღვნა

მოსკოვის ცენტრალურ მსახიობის სახლში სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების, საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და მხატვართა კავშირის თაოსნობით გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახალხო მხატვრის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის ელენე ახვლედიანის ცხოვრებას და შემოქმედებას.

მსახიობის სახლის ფოიეში მხატვრის ნამუშევრები გამოუფენიათ. სტუმრები ინტერესით ათვალიერებენ მხატვრის ადრეული თუ ბოლო წლების შესანიშნავ ნაწარმოებებს.

საღამოზე დამსწრეთ გულთბილი მოგონებები გაუზიარეს მ. მირონოვამ, ნ. დორლიაკმა, ლ. მოგილევსკაიამ, ბ. პოიუროვსკიმ, ი. ჩიქოვამ, მ. ჯაფარიძემ, რ. თაბუკაშვილმა, ნ. ურუშაძემ, მ. ქვლივიძემ.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობდნენ ი. რუსინოვი, მ. იაშვილი, ნ. ბრეგვაძე, ვ. კიკვიძე, კონცერტმეისტერი მ. გონგლიაშვილი.

მოცეკვავეს — პირველი პრიზი

ბალეტის მსახიობთა ახლახან დამთავრებულ საკავშირო კონკურსზე, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან 90 მსახიობი მონაწილეობდა, პირველი პრიზი და სპეციალური ჯილდო დაიმსახურა ქართული ქორეოგრაფიული სკოლის აღზრდილმა, ამჟამად მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის წამყვანმა სოლისტმა ალა ხანიაშვილმა.

ჩვენთან საუბარში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ო. ლეპეშინსკაიამ თქვა: „კონკურსის მონაწილეთა შორის მინდა გამოვყო ა. ხანიაშვილი. თავდაპირველად იგი თბილისში სწავლობდა, მოგვიანებით მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა. დახვეწილ საცეკვაო ტექნიკასთან ერთად მშვენივრად გადმოგვცემს გმირის ხასიათს და სულიერ სამყაროს, იგი ცეკვისათვის დაბადებულა".

„სისხლიანი ქორწილის" წარმატება

მოსკოვის ბოშების თეატრ „რომენში" რეჟისორმა ედგარ ეგაძემ დადგა ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი".

ახალ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. ცენტრალური პრესა ფართოდ გამოეხმაურა ქართველი რეჟისორის ახალ დადგმას. გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში" თეატრალური მიმომხილველი ვ. რიფოვი წერდა: „ე. ეგაძემ მშვენივრად გაართვა თავი მეტად პასუხსაგები სპექტაკლის დადგმას, მან განახორციელა თავისი ჩანაფიქრი და შემსრულებელთა ტალანტი პოეზიის და უბრალოების, ტემპერამენტის და აზოოვნების სინთეზად გადააქცია".

ახლა ვნახოთ რას წერს ამ დადგმის თაობაზე ჟურნალ. „ოგონიოკში" ლ. ლუკიანოვა: „სპექტაკლის დამდგმელი ე. ეგაძე ყოველნაირად ცდილობს წარმოაჩინოს ლორკას სულიერი სიღიადე და სწორედ ეს არის სპექტაკლის მთავარი წარმატების მიზეზი".

დ. მაჭავარიანი,

„კომუნისტის" საკ. კორ.

ძ. მოსკოვი.

ფეიერვერკი

23 მარტი

ფილიალების

23 მარტი

ფილმები

პირველი პროგრამით: 09.00 — „ალმა-ატა" (ფ.), 09.40 — „დოკუმენტური" — ფილმი თეთრი დათვების სამყოფლობელოში" (ფ.), 10.00 — შვეიცარიელთა ფრანული ენა (ფ.), 10.30 — „ბაღვიძარა" (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი" სიახლენი, პრობლემები" ფერადი (რანმეორებით), 11.45 — საგალელვიზიო დოკუმენტური ფილმი „ვისეიცის ნაკრძალი" (ფ.), 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „ფილის ფოსტა" მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — „ბელეკურსულთათვის ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაში დოცენტი რ. ენუქიშვილი) (ფ.), 13.45 — „ცეროლენას ეკრანი", 14.15 — საგალელვიზიო დოკუმენტური ფილმი „გაზაფხულის კინოფაკვირვება" (ფ.), 14.30 „მუსიკალური „კიოსკი" (მ.), 15.00 — „ბულგარელი „ეცეური ფილმი, 15.25 — „ვესტნიკი" (ფ.), 15.55 — „კინოფაკანარია" — (ფ.), (რანმეორებით), 16.35 — „ქართული ხალხური ავაზეკი", 17.05 — „კინომოგზაურობის „ელვები" (მ.), 18.05 — „კინოფაფიშა", 18.35 — საგალელვიზიო დოკუმენტური ფილმი „ფალკანები", 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 19.45 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 20.20 — „ბოთმეი" (ფ.), 20.55 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის საგალელვიზიო დოკუმენტური ფილმი „პეგროგრადი — ჩვიდმეტი წლის ოქტომბერი". ფილმი პირველი, პრემიერა (მ.), 22.00 — „ერემია" (მ.), 22.35 — ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი ალინში.

მეორე პროგრამით: 17.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ულვაშა ძიძა" (ფ.), 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმები. 18.55 — კონცერტი, 19.40 — მხატვრული ფილმი „ერძნობათა სირთულე".

მოსკოვი

მეოთხე პროგრამით: 09.00 — დოკუმენტური ფილმები, 09.40 — ფ. შოპენი — მაზურკები, 10.00 — ანაბანა, 10.30 — აბჯარა — დაუვიწყარელი, 11.30 — ფილმ-კონცერტი „ჩემს მშობლიურ თბილისში", 11.40 — გელეფილმი „მზის ფერების მილოდია", 13.30 — თქვენთვის, მშობლებო! 14.00 — ჰოკეი. „სპარტაკი" — „სოკოლი", 16.00 — მზის საკუთნაო, 17.00 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება, 17.30 — დოკუმენტური ფილმი „რუსული ჩაი", 17.45 — ი. ოლუშანკი, ვ. ოლუშანკი — „გრძელი დღეების თვე". მხატვრული ფილმი, პირველი სერია. 19.00 — მღერის ვ. მირონოვი, 19.30 — გამარჯვებულნი. ფრონტელ მეგობართა კლუბი. მე-18 არმიის ვეტერანთა შეხვედრა, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.15 — ხელბურთი. ვალები. მინსკის ასკ-მაი, 22.00 — რუმბიეთის „კამერული ორკესტრის „სიმფონიეტას" კონცერტი, 22.40 — მხატვრული ფილმი, „ხანმოკლე შეხვედრები ხანგრძლივ ომში".

23 მარტი

**ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სვეშნიკოვი დასლავი (დღისით), კაბალევსკის შვილები. კონცერტი (პრემიერა), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — როლი დამოწყებული მასანიშვილი გოგონასათვის (დღისით)), საბრალდეგო დასაკვნა (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — 30 ადგილიანი (დღისით და საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის რძლეები (დღისით), ზაპარი ბიდის დედისერთა (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — ნუროს გაფრინდეები, ნურა ბოფრინდეები (დღისით), ლუარსაბ თათიძარიძე (საღამოს); კინოსახლობთა თეატრი — სამეგ; რუსთავის სახელ მ წ ი ფ ო დრამატული (რკინიგზელთა სახლში) — ვალი (დღისით), დრო-24 საათი (საღამოს); ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — ეპრაული კამერული